ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული

საქართველოს" სხდომა N04

დ. ლენტეხი **19.11.2025 წ.**

მიმდინარე წლის 19 ნოემბერს დღის 11 საათზე ჩატარდა ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე იაკობ გაზდელიანი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გაზდელიანი, ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი ლამზირა გუგავა, საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი, მოადგილეები: ირაკლი ქურასბედიანი, ხუტა მუკბანიანი, მარეხ ონიანი. ფრაქციის წევრები: კახა ლიპარტელიანი, ზურაბ ონიანი, რევაზ გუჯუჯიანი, მურმან ტვილდიანი, ამირან ქურასბედიანი, ემზარ ქალდანი, გოგი ონიანი, დავით ფურელიანი, ,მევლუდ ლიპარტელიანი, ელდარ ლიპარტელიანი, სოციალურ საკითხთა თავმჯდომარე ცირა ლიპარტელიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დემური ლიპარტელიანი.

ფრაქციის თავმჯდომარემ იაკობ გაზდელიანმა ფრაქციის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.შიდა დისციპლინური საკითხები;

/მომხს. ფრაქციის თავმჯდომარე ი. გაზდელიანი/

2.სპორტის მინისტრის შალვა გოგოლაძის წერილის „სპორტის სფეროში საპატიო წოდებების დამტკიცების შესახებ" განხილვა;

/მომხს. სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ცირა ლიპარტელიანი/

ფრაქციის თავმჯდომარემ ისაუბრა შიდა დისციპლინური საკითხების შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გაზდელიანმა მადლობა გადაუხადა გუნდს მხარდაჭერისთვის აღმიშნა რომ ხელისუფლებას მართავს ძლიერი გუნდი.

2.სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ შემოსულია წერილი სპორტის მინისტრ შალვა გოგოლაძის მიერ „სპორტის სფეროში წოდებების დამტკიცების შესახებ". სპორტის სფეროში საპატიო წოდება ენიჭება განსაკუთრებული მიღწევებისა და სპორტის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის ბრძანებით განსაზღვრული შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

1. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი;

2.საქართველოს საპატიო მსაჯი;

3. საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე;

4. საქართველოს სპორტის საერთაშორისო/ საერთაშორისოდ აღიარებული მსოფლიო ოსტატი;

5. საქართველოს სპორტის რაინდი;

ცირა ლიპარტელიანმა აღნიშნა რომ წოდებების მინიჭების წესი მოქმედებს მხოლოდ ლენტეხის მუნიციპალიტეტსი მცხოვრებ ადამიანებზე, ვინც უშუალოდ ცხოვრობს ლენტეხის მუნიციპალიტეტში და ასპარეზობს მუნიციპალიტეტის სახელით. საჭიროა დებულების შემუშავება, წახალისების ფორმის მოფიქრება რომ სტიმული მიეცეს მათ საქმიანობას იქნება ეს ფინანსური თუ სხვა კუთხით.

ფრაქციის თავმჯდომარემ იაკობ გაზდელიანმა აღნიშნა, რომ გაკეთდეს მონაცემთა ბაზა, დაზუსტდეს რაოდენობა იმ კონკრეტული ადამიანების, რომლებიც უშუალოდ მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა რიცხვს შეადგენენ და სოციალური პაკეტით სარგებლობას შეძლებენ მხოლოდ ეს ადამიანები, პატივისცემა უნდა გამოვხატოთ ამ სფეროში მოღვაწე ადამიანების მიმართ.

ფრაქციის წევრმა მურმან ტვილდიანმა დასვა შეკითხვა: რა იგულისხმება წახალისებაში რა ფორმით მოხდება წახალისება?

პასუხად მომხსნებელმა აღნიშნა რომ: კანონის ფარგლებში მოხდება წახალისება. იქნება ეს სოციალური დახმარების კუთხით ერჯერადად თუ სხვა თვალსაზრისით. სპორტის სფეროში მოღვაწე ადამიანებს უნდა ქონდეთ სტატუსი მინიჭებული .

ფრაქციის წევრმა გოგი ონიანმა აღნიშნა: ჯანდაცვის ორგანიზაცია ახალი ჩამოყალიბებულია, აღნიშნულ სამსახურის ერთ-ერთი დარგი იყო სანეპიტ -სადგური რომელიც უსუალოდ აწარმოებდა სხვადასხვა დაავადებების პრევენციას, ამ დარგს ესაჭიროება განვითარება სახელმწიფო პროგრამიდან ფინანსდება დელეგირებული თანხით პროგრამა წარმოდგენილია რომ მოსახლეობასთნ შედგეს ლექცია- საუბრები პროფილაქტიკის მიზნით. საჭიროა შენობის გამოყოფა.

პასუხად მომხსნებელმა აღნიშნა რომ ინფრასრტუქტურის მინისტრთან შეთანხმებით მოხდება ფართის მოძიების და შენობის საკითხის მოგვარება.

ცირა ლიპარტელიანმა და ლამზირა გუგავამ ისაუბრეს ბაღების საკითხზე და აღნიშნეს რომ სადაც არის საჭიროება, აუცილებლად უნდა აშენდეს ბაღები . პირობები უნდა გაუმჯობესდეს და თემში ერთი ბაღი მაინც უნდა ფუნქციონირებდეს. უნდა იყოს მოქმედი რომ არ ჩაითვალოს არამიზნობრივ ხარჯში.

დემურ ლიოარტელიანმა ისაუბრა მოქმედი და ძველი პროექტების შესახებ:

1. მუზეუმის ტერიტორიაზე კოშკის მშენებლობა

2.სოფ. გვიმბრალაში კოშკის მშენებლობა;

3. სოფ. ცხუმელურში ხიდის მოწყობა;

4. მუზეუმის შიდა სივრცის მოწყობა;

5. მუზეუმიდან ამაღლებამდე ასასვლელის მოწყობა;

6. დაბა ლენტეხში ადმაშენებლის ქუჩაზე 40- ბინიანი კორპუსის მოწყობა;

7.დაბა ლენტეხში სტალინის ქუჩის კეთილმოწყობა;

8.სხვა კორპუსების კეთილმოწყობა;

9.სოფ. ხოფურში მჟავე წყლისკეთილმოწყობა;

10. ჟახუნდერში კულტურის სახლის კეთილმოწყობა;

11. თეკალში სარიტუალო სახლის მოწყობა;

12.ბეტონის საფარით მოწყობა მარგვიშში და ნაცულში;

13. თეკალში წყალსადენის სისტემის მოწყობა;

14.ჩიხარეშში ადმინისტრაციული შენობის კეთილმოწყობა,

15. ზედა მელეში გზის მოწყობა;

16.სოფ. ყარიშში დაყრდენი კედლების და გზის მოწყობა;

17.დევაშში გარე საცურაო აუზის მოწყობა;

18. სოფ. ხოფურში ხიდთან გადასასვლელის მოწყობა;

19. მელურაში ახალშენში გზის გამაგრება;

20.ლაღარვაშში სკვერის მოწყობა;

21.მერიის ავტოფარეხის მოწყობა;

22. სოფ. გულიდა, ლასკადურა , ნანარი, ზღუდარების მოწყობა;

23. ხელედში მინი სტადიონი;

24.ფაყში და სკალდში გზის მოწყობა;

25. სკიმერში და ედიაშში გზის მოწყობა;

26.მთა ლაფურში გზის მოწყობა;

27. ლაბრახში გზის მოწყობა;

28. ზესხოს გზის კეთილმოწყობა;

საკრებულოს თავმჯდომარემ დავით პირველმა აღნიშნა რომ ეს არის ინფრასტრუქტურული პროექტების მონახაზი. იმ შემთხვევაში თუ კომისიის წევრებს აქვთ შენიშვნები, საჭიროა შეკრება და ამ შენიშვნების წარდგენა მერიისთვის.

განიხილეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ქურასბედიანმა აღნიშნა რომ ჯერ დასამთავრებელია სოფლებში დაწყებული გზის მშენებლობა. ზოგან გადასასვლელიც არაა ჯერ გზის საკითხი უნდა მოგვარდეს დაშემდეგ ეტაპზე მივხედოთ მთის მიმართულებას , სოფ.გულიდაში ზღუდარები არის დარჩენილი, მელურაში წყალი იყო პრიორიტეტული.

ფრაქციის სხდომის ბოლოს საკრებულოს თავმჯდომარემ დავით პირველმა ყურადღება გაამახვილა გუბერნიიდან მიღებულ მითითებაზე დრესკოდზე. კერძოდ სადაც საკრებულოში დასაქმებული ყველა პირი ვალდებულია მკაცრად დაიცვას ჩაცმის კლასიკური სტილი.

ფრაქციის სხდომა დასრულდა 13:00 საათზე.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული

საქართველოს" თავმჯდომარე: /იაკობ გაზდელიანი/